

## სესხის განაცხადი

განაცხადის შევსების თარიღი - [loanFormatDate:requestDate]

განმცხადებლის პერსონალური (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის) კოდი N  
[loan:publicId]

განმცხადებელი:

სახელი, გვარი	[user:name] [user:surname]
პირადი/N	[user:persId]
რეგისტრაციის მისამართი	[user:legalAddrCity] [user:legalAddrStreet] [user:legalAddrNumber]
ფაქტობრივი მისამართი სრულად	[user:actualAddrCity], [user:actualAddrStreet] [user:actualAddrNumber]
საქმიანობის სფერო	[workIndustry]
განათლება	[user:education]
ყოველთვიური ხელფასი/შემოსავალი	[SumMonthlyIncome]
ტელეფონის ნომერი (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერი, გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის რაოდენობრივ-სტატისტიკურ მოდელში დასამუშავებელი მონაცემის იდენტიფიკატორი მობილური ტელეფონის ნომერი)	[user:phone]
ელ. ფოსტა	[user:email]

## მოთხოვნილი სესხის პირობები

სესხის თანხა (მოცულობა)	[loan:requestAmount] ლარი
სესხის ვალუტა	ლარი
სესხის სარგებლობის ვადა	[schedulePaymentCount:all] თვე

განმცხადებელი წინამდებარე განაცხადით ვადასტურებს, რომ:

- განაცხადი შედგენილია ჩემი ნების შესაბამისად;
- განაცხადი შეიცავს ჩემს მიერ „გამსესხებლისთვის“ გამჟღავნებულ პერსონალურ მონაცემებს;
- დეტალურად გავეცანი „გამსესხებლის“ ვებგვერდზე [www.silkcredit.ge](http://www.silkcredit.ge) განთავსებულ

ინფორმაციას სესხის პირობების შესახებ.

- გამოვხატავ თანხმობას და უფლებას ვაძლევ სს სილქ როუდ ბანკს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიიღოს იდენტიფიცირებული ინფორმაცია ჩემი 1000 ლარამდე გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების შესახებ
- სრულად ვაცნობიერებ ამ განაცხადით მცდარი ინფორმაციის მიწოდებისთვის კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ და ფინანსურ პასუხისმგებლობას და იდენტიფიკაციის პროცესის არასათანადოდ დასრულების შესაძლო შედეგს, რაც შეიძლება გახდეს ჩემს მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარების საფუძველი და განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი;
- სესხის გაცემაზე უარი არ გამოიწვევს გამსესხებლის ვალდებულებას ახსნას უარის საფუძველი და ასეთი სახის ინფორმაციის გაცემა დამოკიდებულია „გამსესხებლის“ კეთილ ნებაზე.

ამ დოკუმენტში და ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფაში მითითებული „ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერი“-ს შემდგომში „ტელეფონის ნომერი“-ის მეშვეობით შესაძლებელია შესრულდეს შემდეგი მომსახურება: SMS შეტყობინების მიღება კლიენტის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე განხორციელებული ოპერაციების, ნაშთების შესახებ, ვალუტის კურსების შესახებ, ოპერაციების აქტიური წარმოება SMS შეტყობინების მეშვეობით, ბანკზე დავალებების დადასტურება საბანკო ანგარიშებიდან თანხების გადარიცხვების ანდა გატანის შესახებ. SMS ბანკით მომსახურებისას საგადახდო დავალებებზე კლიენტის ხელმოწერის დაფიქსირება აღარ არის საჭირო და ხელმოწერის ჩანაცვლება ხორციელდება SMS ბანკის სერვისით დავალების ვერიფიკაციის პროცესის დროს კლიენტისთვის გაგზავნილი დავალების აქტივაციის კოდის დაფიქსირების საფუძველზე; SMS ბანკის სერვისით კლიენტს ეგზავნება შეტყობინებები: - აქტიური SMS შეტყობინება; შემახსენებელი SMS შეტყობინება; გასავლის ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; შემოსავლის ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; საკუთარ ანგარიშებს შორის განხორციელებული ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; ბარათით განხორციელებული ოპერაციების შესახებ SMS შეტყობინება; საგადახდო დავალებების ფორმირების, ვერიფიკაციის და საბანკო ოპერაციების შესრულების ავტორიზაციის კოდები; - სხვადასხვა საბანკო პროდუქტების აქტივაციის და მომსახურების პინკოდებზე ინფორმაციები; სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით/სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის გავლა ანდა განაცხადში მითითებული საკონტაქტო მონაცემების შეცვლა; დადგენილი ლიმიტების ფარგლებში საბანკო ოპერაციების დადასტურება; მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშ(ებ)ის დახურვა; საკრედიტო პროდუქტის მიღების ან/და გაუქმების განაცხადების წარდგენა და ამ პროდუქტებით მომსახურების სურვილის დაფიქსირება; ავტორიზაციის და ვერიფიკაციის SMS შეტყობინებები და ერთჯერადი კოდები.

ამასთან ერთად, კლიენტისთვის ცნობილია, რომ სატელეფონო გზით ოპერაციების წარმოებისთვის აუცილებელია კლიენტის იდენტიფიკაციის პროცესის გავლა, იმ მობილური ნომრიდან, რომელიც ბანკის და კლიენტის მიერ გამოიყენება „ფინანსური სერვისების მიღებისთვის“. სწორედ ამ ტელეფონის ნომრის მეშვეობით ხდება ბანკის მიერ შედგენილი გარკვეული კითხვარებით იდენტიფიკაციის პროცესი. ამასთან ერთად, კლიენტის თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია აუთენტიფიკაცია განხორციელდეს კლიენტის ხმის გამოყენებით (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში), როგორც სატელეფონო მომსახურების, ასევე ნებისმიერი სხვა საბანკო მომსახურების დისტანციურად განევის მიზნით. რითიც ხდება ელექტრონულ სერვისებზე კლიენტის რეგისტრაცია.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკთან კომუნიკაცია ხდება ხმოვანი სატელეფონო კავშირით, ყოველი სატელეფონო კავშირისას კლიენტმა უნდა გაიაროს იდენტიფიცირების პროცედურა ან ვერიფიკაცია გაიაროს ხმით აუთენტიფიკაციის საშუალებით (ასეთი შესაძლებლობის

არსებობისას). ბანკი ნებისმიერ დროს უფლებამოსილია უარი განაცხადოს სატელეფონო იდენტიფიცირების პროცედურაზე, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის წარმომადგენელს გაუჩნდება ეჭვი, რომ ინფორმაციის მიღებას, ან ოპერაციის განხორციელებას ცდილობს არა კლიენტი, არამედ მესამე პირი. ბანკს უფლება აქვს არ გასცეს განმარტებები ეჭვის საფუძვლების შესახებ. კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს დამატებითი კრიტერიუმები და პროცესები. ბანკთან ტელეფონით დაკავშირებისას კლიენტი თავისი განცხადებებით, დავალებებით ანდა თანხმობებით, იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ ბანკს აძლევს დავალებას, შესაბამისი მომსახურების მიწოდებაზე. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ სურს სატელეფონო მომსახურების მიღება ანდა მიღების შემდეგ სურს ამ მომსახურების შეწყვეტა, ის ვალდებულია წერილობით ანდა დისტანციურად სატელეფონო სერვის-ცენტრში იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ დააფიქსიროს შესაბამისი განაცხადი. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი დაფიქსირდეს და ჩაინეროს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა. სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად და მისი შექმნიდან სამი წლის გასვლამდე ბანკი ვალდებულია, ბანკისთვის მისაღები ფორმით შეინახოს და საჭიროებისას გააცნოს კლიენტს ეს ჩანაწერი. ბანკი უზრუნველყოფს კლიენტის ხმის ბიომეტრიის დაცულობას და პასუხისმგებელია მხარეთა შორის შეთანხმებული მიზნებისათვის გამოყენებაზე. კლიენტის ბიომეტრიული მონაცემის ჩანერა განხორციელდება რთული იდენტიფიკაციის გავლის შემდგომ. კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი ხმის ჩანაწერის შეცვლა/წაშლა/განადგურება გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კლიენტის ხმის ბიომეტრიის დამუშავების მიზანს წარმოადგენს კლიენტის უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა, კონფიდენციალური ინფორმაციის მაქსიმალური დაცულობა თანამედროვე, უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენებით. უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური უზრუნველყოფის კუთხით, კლიენტის ხმის ბიომეტრიული მონაცემები ინახება დაშიფრული სახით და დაშიფრულ მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია. მხარეები თანხმდებიან, რომ სატელეფონო ნომრიდან ასევე ხმის აუთენტიფიკაციის გამოყენებით შესრულებულ საბანკო ოპერაციას აქვს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა. კლიენტი საბანკო მომსახურებით (პროგრამით) სარგებლობისთვის რეგისტრაციას და/ან ავტორიზაციას ახორციელებს ამ დოკუმენტით. კლიენტი ვალდებულია დაიცვას დისტანციური პროდუქტებით სარგებლობისას მის მიერ შექმნილი პაროლ(ებ)ის კონფიდენციალობა და არ დაუშვას მისი მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში. მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის აპარატის სხვა პირისთვის გადაცემის წინ, კლიენტი ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ დაცული იქნება უსაფრთხოების ზომები და არ ექნება ადგილი პირების მიერ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომას. პაროლ(ებ)ის გამჟღავნების ან მობილური ტელეფონის დაკარგვის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბანკს და მოითხოვოს სერვისების დაბლოკვა.

თანახმა ვარ ყველა სახის ინფორმაცია მივიღო ამ განაცხადში დაფიქსირებულ ჩემს საკონტაქტო არხებზე (ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი), რომელიც წარმოადგენს უფასო საკომუნიკაციო არხებს.

**ადრესატი** : სს „სილქ როუდ ბანკი“; ს/ნ - 201955027; მის: საქართველო, ქალაქი თბილისი, გაარბრიუკენის მოედანი N2; ვებგვერდის მისამართ: [www.silkcredit.ge](http://www.silkcredit.ge); საკონტაქტო ტელ: 322 242 242; ელ.ფოსტა [silkcredit@silkroadbank.ge](mailto:silkcredit@silkroadbank.ge); საბანკო ლიცენზიის ნომერი 238

თანხმობის შედგენის თარიღი - [dateTime]

[user:name] [user:surname]

[user:persId]

## წერილობითი თანხმობა

### სსიპ შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის მონაცემთა მიმოცვლის შესახებ

ჩემთვის ცნობილია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ბანკი უფლებამოსილია, პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით შემოსავლების სამსახურისგან მოითხოვოს, მიიღოს და დაამუშავოს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიანი ელექტრონულ ბაზაში (შემდგომში - „მონაცემთა ბაზა“), იმ ფიზიკურ პირთა შესახებ დაცული ინფორმაცია, რომელთა დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს და რომლებიც თანხმობას განაცხადებენ მათი ინფორმაციის ბანკისათვის მიწოდებაზე. პირის თანხმობის მიღების შემდეგ, ბანკის მიერ შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციის გამოთხოვა ხორციელდება მემორანდუმის შესაბამისი დანართის მეშვეობით და იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება პირის შესახებ დეკლარაცია/ინფორმაცია, შემოსავლების სამსახური აღნიშნულის თაობაზე ბანკს აწვდის შესაბამის სტატუსს „დეკლარაცია/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი“

**გემოხსენებულისგან გამომდინარე თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „სილქ როუდ ბანკმა“ სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩემი გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ - შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზიდან გამოითხოვოს და მიიღოს ჩემს შესახებ დაცული ინფორმაცია.**

ამასთან ერთად, გემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვადასტურებ, რომ - ვარ, იდენტიფიცირებული შემოსავლების სამსახურის მიერ (რაც ნიშნავს, რომ გადასული ვარ შემოსავლების სამსახურთან კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმატზე), და ჩემი დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს.

თანხმობის ტექსტი ხელმოწერილია ჩემი ნების გამოხატვის საფუძველზე და სრულად ვათვითცნობიერებ მის სამართლებრივ შედეგებს.

**თანხმობის შედგენის თარიღი - [dateTime]**

**[user:name] [user:surname]**

**[user:persId]**

## თანხმობა მონაცემების დამუშავების თაობაზე

მე, **[user:name] [user:surname]** გამოვხატავ თანხმობას და უფლებას ვაძლევ სს სილქ როუდ ბანკს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს წინამდებარე განაცხადში, კრედიტორთან დაცული, ასევე, ჩემ შესახებ საკრედიტო ბიუროებში დაცული და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩემი, როგორც მომავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნით.

გაცნობიერებული მაქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

აღნიშნული თანხმობა არის ერთჯერადი და მოქმედია ჩემს მიერ განცხადების დადასტურებიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

**შენიშვნა:** თუ თანხმობა გაცემულია მონაცემთა სუბიექტის ონლაინ რეგისტრაციის და მისგან ელექტრონული თანხმობის მიღებით, დოკუმენტზე ფიზიკურად ხელმოწერა არ სრულდება და თანხმობის ნამდვილობა დასტურდება ელექტრონული ლოგით.

**თანხმობის შედგენის თარიღი - [dateTime]**

**[user:name] [user:surname]**

**[user:persId]**

### **წერილობითი თანხმობა**

თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „სილქ როუდ ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩემს მიერ სასესხო განაცხადში მითითებული მონაცემების დაზუსტების/გადამოწმების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან და მიიღოს, ბანკისთვის აუცილებელი ჩემი პერსონალური მონაცემები.

**თანხმობის შედგენის თარიღი - [dateTime]**

**[user:name] [user:surname]**

**[user:persId]**

**გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის რაოდენობრივ/სტატისტიკური მოდელში  
დასამუშავებელი მონაცემის იდენტიფიკატორი მობილური ტელეფონის ნომერი :**

**[user:phone]**

**თ ა ნ ხ მ ო ბ ა**

**მონაცემთა სუბიექტის თანხმობა სილქნეტის მონაცემთა ბაზიდან პერსონალური  
მონაცემების გამოთხოვისა და დამუშავების შესახებ**



წინამდებარე თანხმობით, სს „სილქ როუდ ბანკ“-ს (ს/ნ 201955027) ვანიჭებს უფლებამოსილებას, ჩემი პერსონალური მონაცემები, რომელიც უკავშირდება გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის რაოდენობრივ/სტატისტიკური მოდელში დასამუშავებელი მონაცემის იდენტიფიკატორს, გამოითხოვოს, სს „სილქნეტი“-ს (ს/ნ 204566978) მონაცემთა ბაზებიდან, გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის რაოდენობრივ/სტატისტიკური მოდელების შესაბამისად.

სს „სილქნეტი“-დან გამოთხოვილი პერსონალური მონაცემები, ჩემი გადახდისუნარიანობის შეფასების და ჩემთვის ფინანსური სერვისების შეთავაზების მიზნით, სს „სილქ როუდ ბანკმა“ დაამუშაოს გადახდისუნარიანობის შეფასების ანალიზისთვის, რაოდენობრივ/სტატისტიკური მოდელების გამოყენებით.

სს „სილქნეტი“-ს ვანიჭებ უფლებამოსილებას წინამდებარე თანხმობის საფუძველზე, სს „სილქ როუდ ბანკს“ მიაწოდოს გადახდისუნარიანობის შეფასების რაოდენობრივ/სტატისტიკური მოდელების გამოყენებით გამოთხოვილი მონაცემები, ჩემი გადახდისუნარიანობის შეფასების და ფინანსური სერვისების ჩემთვის შეთავაზების მიზნით.

### **თანხმობის გამცემი პირი ვადასტურებს, რომ:**

1. წინამდებარე თანხმობის გაცემამდე, სს „სილქ როუდ ბანკის“ ვებ გვერდზე სრულყოფილად და ამომწურავად გავეცანი ინფორმაციას, გადახდისუნარიანობის შეფასებისთვის შემუშავებული რაოდენობრივ/სტატისტიკური მოდელის გამოყენებით მონაცემების გამოთხოვისა და დამუშავების შესახებ. ასევე, გავეცანი, მონაცემის გამოთხოვის მიზნობრიობას, მონაცემების გამოთხოვაზე თანხმობის ტექსტს და მხოლოდ ამის შემდეგ გავეცი წინამდებარე თანხმობა.
2. ჩემთვის ცნობილია, ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნობრიობა და წინამდებარე თანხმობის გაცემის სამართლებრივი შედეგები.
3. დასამუშავებელი მონაცემის იდენტიფიკატორი, ამ თანხმობაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი ჩემს სარგებლობაშია, ირიცხება ჩემს სახელზე და მისი გამოყენება ხდება ჩემს მიერ.
4. ჩემთვის ცნობილი, რომ სილქნეტის ბაზიდან ხდება შემდეგი პროგრამული იდენტიფიკატორით მონაცემების გამოთხოვა:
  - ბოლო ერთი თვის (30 კალენდარული დღე) 11:00 - 17:00 პერიოდის განმავლობაში, მოცემული ნომრის მომსახურე (სმს–ის და ხმოვანი სიგნალის მიხედვით) ანძების რაოდენობის სტატისტიკურად დამუშავებული მონაცემი. (ყოველდღიური სტანდარტული გადახრა **Last1mon\_SMVC\_CELLS\_11\_17\_STD**);
  - ბოლო სამი თვის (90 კალენდარული დღე) განმავლობაში, მოცემული ნომრიდან ფიქსირებულ ქსელებზე ყოველდღიურად გამავალი ზარების რაოდენობის სტატისტიკურად დამუშავებული მონაცემი. (სტანდარტული გადახრა **Last3mon\_FIX\_CDR\_STD**);
  - ბოლო ერთი თვის (30 კალენდარული დღე) განმავლობაში ზარის პაკეტების გარეშე განხორციელებული ზარების სტატისტიკურად დამუშავებული მონაცემი

(ყოველდღიური საშუალო რაოდენობა **Last1mon\_CHARGE\_PAYG\_VOICE\_AVG**);

- ბოლო ექვსი თვის (180 კალენდარული დღე) განმავლობაში სარეკლამო/საინფორმაციო ნომრებიდან ყოველდღიურად მიღებული SMS რაოდენობის სტატისტიკურად დამუშავებული მონაცემი. (სტანდარტული გადახრა **Last6mon\_INC\_REST\_SMS\_COUNT\_STD**)
- მომხმარებლის მობილური ტელეფონის ტიპი (არის თუ არა სმარტფონი **PHONE\_DEVICE\_TYPE\_Phablet**);